**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ზუბუნი




ზუბუნი, მამაკაცის მოკლე ახალუხი. ზ. გრეხილითა და საოლველით (არშიით) იყო გაწყობილი, საყელო და საგულე მოქარგული ჰქონდა. იკვრებოდა ლითონის ან ძაფის ღილებით, ან დედალ-მამალი ხრიკით. საზაფხულო ზ. მეტწილად უსახელო იყო, საზამთრო – სახელოებიანი და დაბამბული. გავრცელებული იყო გურიაში, აჭარაში, მესხეთ-ჯავახეთში, ლაზეთსა და, ნაწილობრივ, სამეგრელოშიც (აჭარაში ზ-ს ქალის ხიფთანსაც უწოდებდნენ).

*ლიტ.*: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954.

***ც. ბეზარაშვილი***